

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

14 ივლისი 2016 წელი

ქ. ბათუმი
10⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, სოფიო კახაძე, მაკა ლომაძე, ირაკლი გვარამია, შორენა ჭალაღიძე, კახაბერ ჯაიანი, ფიქრია აფაქიძე, ნუგზარ ბაჯელიძე და მამუკა ჯაში.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის - „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი - დარეჯან ალანია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღისწესრიგის პროექტი:

1. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;
2. დადგენილება -ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;
3. განკარგულება - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;
4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: რამაზ გოლომანიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

რამაზ გოლომანიძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი აქვს განკარგულების პროექტი და დღის წესრიგის პროექტში - „სხვადასხვა“-ში მოითხოვა „საოლქო

საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატება. მან აღნიშნა, რომ უსკოს 30/06/2016, N10 განკარგულებით შექმნილი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი - N68, N69 და N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. დღის წესრიგის პროექტის თანახმად, მე-2 საკითხად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი - „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“, რომლის მიღების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს, მათ საზღვრებს და ნომრებს. შესაბამისად, დადგენილების პროექტის ძალაში შესვლის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის შეიქმნება ექვსი მაჟორიტარული ოლქი და სრულიად შესაძლებელია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემა საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ, განმარტა, რომ უსკოს რეგლამენტის თანახმად, კომისიის წევრს უფლება აქვს დღის წესრიგის დამტკიცებამდე მოითხოვოს დამატებითი საკითხის დღის წესრიგში შეტანა, საკითხი წყდება კენჭისყრით. ასევე განმარტა, რომ ხსენებული დადგენილების პროექტის მიღების და ძალაში შესვლის შემდეგ უსკოს მაინც მოუწევს შეკრება და არამარტო წარმოდგენილ საკითხზე არამედ საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო, მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერათა მინიმალური ოდენობის დადგენისა და საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

რამაზ გოლომანიძემ სხდომის თავმჯდომარეს სთხოვა, წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის „სხვადასხვა“-ში

„საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატების შესახებ კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრის, რამაზ გოლომანიძის წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის „სხვადასხვა“-ში „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღისწესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

2. დადგენილება

ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

4. სხვადასხვა.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე წევრობის უფლებამოსილების

ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის მდივანს. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიის მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ ორ წევრს, რის შემდეგაც კომისიის წევრებს შესთავაზა კომისიის მდივნის კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვას:

მამუკა ჯაშმა, სოფიო კახაძემ, ირაკლი გვარამიამ, გუგული დუაძემ, თორნიკე მჭავანაძემ, ნუგზარ ბაჯელიძემ, რამაზ გოლომანიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

მამუკა ჯაშმა, ირაკლი გვარამიამ და სოფიო კახაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს სოფიო კახაძის კანდიდატურა.

გუგული დუაძემ და თორნიკე მჭავანაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს თორნიკე მჭავანაძის კანდიდატურა.

ნუგზარ ბაჯელიძემ და რამაზ გოლომანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს ზურაბ გოლიაძის კანდიდატურა.

პარმენ ჯალაღონიამ, აღნიშნა, რომ იგი პატივს სცემს კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დასახელებულ სამივე კანდიდატურას მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და უსურვებს წარმატებებს.

გუგული დუაძემ კომისიას შესთავაზა სხდომაზე შესვენების გამოცხადება. მან აღნიშნა, რომ თითოეულმა კომისიის წევრმა ვილაცის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი და ამისათვის მიაჩნია, რომ საჭიროა სხდომაზე გამოცხადდეს რამოდენიმე წუთით შესვენება რათა დასახელებული კომისიის მდივნის კანდიდატები შეჯერდნენ მათ შორის ერთერთ კანდიდატზე.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომაზე შესვენების გამოცხადების შესახებ. კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 11:10 სთ-დან - 20 წუთით.

კომისიის სხდომა განახლდა 11:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დასახელებული კანდიდატების (შემოსვლის) რიგის მიხედვით თავდაპირველად კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე სოფიო კახაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	ჯალალდონია პარმენ	დღუაძე გუგუელი	მყვანაძე თორნიკე	გოლომანიძე რამაზ	გოლიაძე ზურაბ	კახაძე სოფიო	ლომაძე მაკა	გვარამია ირაკლი	ჭალაიძე შორენა	ჯაიანი კახაბერ	აფაქიძე ფიქრია	ჯაში მამუკა	ბაჯელიძე ნუგზარ
სოფიო კახაძე	მომხ.					მომხ.		მომხ.			მომხ.	მომხ.	

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული სოფიო კახაძე.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ემუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არ იქნეს არჩეული სოფიო კახაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე თორნიკე მჟავანაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	ჯალალდონია პარმენ	დუაძე გუგუული	მჟავანაძე თორნიკე	გოლომანიძე რამაზ	გოლიაძე ზურაბ	კახაძე სოფიო	ლომაძე მაცა	გვარამია ირაკლი	ჭალალოძე შორენა	ჯაიანი კახაბერ	აფაქიძე ფიქრია	ჯაში მამუკა	ბაჯელიძე ნუგზარ
თორნიკე მჟავანაძე		მომხ.	მომხ.						მომხ.			მომხ.	

მომხრე 4;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული თორნიკე მჟავანაძე.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არ იქნეს არჩეული თორნიკე მყავანაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე ზურაბ გოლიაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

კანდიდატის სახელი, გვარი	ჯალალდონია პარმენ	დუაბე გუგული	მუვანაძე თორნიკე	გოლომანიძე რამაზ	გოლიაძე ზურაბ	კახაძე სოფიო	ლომაძე მაკა	გვარამია ირაკლი	ჭალაიძე შორენა	ჯაიანი კახაბერ	აფაქიძე ფიქრია	ჯაში მამუკა	ბაჯელიძე ნუგზარ
ზურაბ გოლიაძე		მომხ.		მომხ.	მომხ.		მომხ.			მომხ.			მომხ.

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული ზურაბ გოლიაძე.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ემუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არ იქნეს არჩეული ზურაბ გოლიაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ სახელობითი კენჭისყრის შედეგად ვერ მოხდა დასახელებულ კანდიდატთაგან (სოფიო კახაძე, თორნიკე მჭავანაძე და ზურაბ გოლიაძე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა, შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა უსკოს მდივანი აღნიშნულ თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ სოფიო კახაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა კომისიის ხუთმა წევრმა, თორნიკე მჭავანაძის კანდიდატურას ოთხმა კომისიის წევრმა ხოლო ზურაბ გოლიაძის კანდიდატურას კომისიის ექვსმა წევრმა, შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიის მდივნის მოვალეობას მდივნის არჩევამდე შეასრულებს ზურაბ გოლიაძე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიის მდივნის მოვალეობას მდივნის არჩევამდე შეასრულებს ზურაბ გოლიაძე.

2. დადგენილება

ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ თუ შეუძლებელი გახდება საარჩევნო კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, უსკო უფლებამოსილია იმსჯელოს და მიიღოს დადგენილება უსკოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე. პარმენ ჯალაღონიამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილია 6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, აქედან, სამი მაჟორიტარული ოლქი N68, N69, და N70 შეიქმნა ცესკოს მიერ 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულებით, ხოლო სამი საარჩევნო ოლქი „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს მათ საზღვრებს და ნომრებს.

აზრი გამოთქვას:

კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ უსკომ არ უნდა მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რადგაც მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს აჭარის საკანონმდებლო ორგანომ, შესაბამისად ეს პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს უმაღლესმა საბჭომ და არა უსკომ.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ხდება კანონში არსებული ჩანაწერის (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) შესაბამისობაში მოყვანა საარჩევნო კოდექსსა და ცესკოს მიერ მიღებულ განკარგულებასთან მიმართებაში.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;

წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110-ე და 110¹ მუხლების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები და ნომრები შეესაბამება საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს, მათ საზღვრებს და ნომრებს.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო

კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას - ა.(ა).ი.პ. „მშვიდობა, თანადგომა, სოლიდარობა“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. სხვადასხვა.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, გასაცემი დანამატი, მისი ოდენობა განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

აზრი გამოთქევს:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების

შესახებ“ მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე- 4 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისათვის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას“ N163/2016 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, ყოველთვიურად გასაცემი დანამატის ოდენობა განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივნის მ/შ

ზურაბ გოლიაძე